

ქართული ურბანული სივრცე, იმპერიული იდეოლოგია და ოთხი სობორო

ანა მგალობლიშვილი, ირინე გივიაშვილი

საკვანძო სიტყვები: სობორო, თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, ნეოზიზანტიური, რუსეთის იმპერია, კავკასია.

XIX და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ოთხი მნიშვნელოვანი სობოროს მშენებლობა კავკასიაში რუსეთის იმპერიის რელიგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ამბიციებს ასახავდა. თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და ფოთის კათედრალები სწრაფად ტრანსფორმირებად ურბანულ გარემოში დომინანტურ ნიშნულებად ჩამოყალიბდა. ეს ნაგებობები განასახიერებდნენ იმხანად დამკვიდრებულ ნეო-ბიზანტიურ, ნეო-რუსულ და ადგილობრივ ქართულ მხატვრულ მიმდინარეობებს. ამასთანავე, დანერგილი იყო ინოვაციური საინჟინრო ტექნოლოგიები. საბჭოთა პერიოდში კათედრალების განადგურება, ტრანსფორმაცია ან გადარჩენა საქართველოში რელიგიის, მეხსიერებისა და იდენტობის პოლიტიკის ცვალებადობას ასახავს. ნაშრომი კათედრალებს განიხილავს არა მხოლოდ როგორც არქიტექტურულ ობიექტებს, არამედ როგორც რუსეთის იმპერიული წარმომადგენლობისა და სიმბოლური ძალაუფლების ინსტრუმენტებს ქართულ ურბანულ სივრცეში.

XIX და XX საუკუნის დასაწყისის ქართული არქიტექტურისა და ხელოვნების სამეცნიერო კვლევას საფუძველი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ჩაეყარა. კომუნისტური იდეოლოგიის პირობებში ამ ისტორიული მონაკვეთის მეცნიერული შესწავლა არსებით სირთულეებს აწყდებოდა. ერთი მხრივ, ცოცხალი ისტორიული და რელიგიური მეხსიერების გამო, რაც შეუთავსებელი იყო საბჭოთა იდეოლოგიურ დისკურსთან, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ფაქტით, რომ ეპოქასთან დაკავშირებული მრავალი პიროვნების ბიოგრაფია საბჭოთა სისტემამ მტრულად შეაფასა და აკრძალა.

საბჭოთა პერიოდის პუბლიკაციებში კვლევა ძირითადად შემოიფარგლებოდა ზოგადი ტენდენციების ანალიზითა და ცალკეული ნაგებობების,

ნაგებობათა ჯგუფების ან მხატვრული ნაწარმოებების მონოგრაფიული განხილვით კონკრეტული ფაქტობრივი და საარქივო მასალის მოხმობით, განსაკუთრებული აქცენტით თბილისის არქიტექტურულ ძეგლებზე.¹

საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს პირობებში, მნიშვნელოვნად გაფართოვდა კვლევის თემატიკა და მეთოდოლოგიური არეალი. შეიქმნა ხელოვნებათმცოდნეობითი ნაშრომები, მიძღვნილი ქალაქების, ნაგებობების, არქიტექტორებისა და არტისტების შემოქმედებისადმი. არსებულ და ახლად აღმოჩენილ მასალას ახლებური ინტერპრეტაცია მიეცა, განსაკუთრებით კი ეროვნული იდენტობის ტრილში და გლობალური ტენდენციების ფონზე.²

XIX საუკუნის საქართველო და მისი კულტურა

1 ბერიძე, თბილისის, 1963; კვირკველია, ძველთბილისური, 1985; ციციშვილი, ქართული, 1995, გვ. 138-152.

2 მანია, ევროპელი, 2006; მგალობლიშვილი, XIX-XX საუკუნეების, 2013-2014, გვ. 59-64; Дзүцова, Народное, 2014; გენგიური, XIX საუკუნის, 2016, გვ. 14-25; ხოშტარია (რედ.) არქიტექტურა, 2016; გერსამია, ჯოვანი სკუდერი: 2016; მანია, გერმანელი, 2018; თათარაშვილი, გერმანული, 2018; ხოშტარია (რედ.), საქართველოს, 2019; თუმანიშვილი,

დასავლელი მკვლევრების ინტერესის სფეროშიც მოექცა, როგორც რუსეთის იმპერიული სივრცის, ასევე რეგიონული, კავკასიური კულტურის კონტექსტში, რასაც ადასტურებს, მათ შორის, მასარიკის უნივერსიტეტში შუა საუკუნეების ვიზუალური კულტურებისა და კვლევითი კომუნიკაციის ცენტრის RE:CENT ბაზაზე განხორციელებული კვლევები და პუბლიკაციები.³

მიუხედავად ამისა, საბჭოთა იდეოლოგიური პარადიგმით განპირობებულმა მემკვიდრეობამ დღემდე მრავალი საკითხი დატოვა შეუსწავლელი და სისტემურად მოუგვარებელი. წარმოდგენილი პუბლიკაცია XIX-XX საუკუნეში დაპროექტებულ და აგებულ ოთხ დიდ კათედრალს, ე.წ. სობოროს ეხება, რომელთაგან თანამედროვეობამდე მხოლოდ ერთმა მოაღწია. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს იმ ძირითადი პრობლემური თემების წამოწვას, რომლებიც სამომავლო, სიღრმისეული კვლევების საფუძვლად შეიძლება იქცეს.

1802 წლის 12 აპრილს რუსის ჯარით გარშემორტყმულ სიონის ტაძარში შეკრებილ ქართველ თავადაზნაურობას ალექსანდრე I-ის (1777-1825) მანიფესტით ემცნო ქართული სამეფოს გაუქმება. ტაძარში შეკრებილ საზოგადოებას ერთგულების ფიცის დადება მოეთხოვა.⁴

1811 წელს გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაც. საქართველო პოლიტიკური თუ კულტურული თვალსაზრისით იმპერიაში შემავალ პერიფერიად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის ძალაუფლების განმასახიარებელი აქტი საკათედრო ტაძარში იქნა წაკითხული, სიონი მაინც ქართველი ერის და ეკლესიის ტრადიციებთან და წარსულთან ასოცირდებოდა და არა რუსულ იმპერიალიზმთან. რუსეთს კი კავკასიაზე გამარჯვების თავისი სიმბოლური ნიშნულები სჭირდებოდა.

1851-1907 წლებში საქართველოს ოთხ სხვადასხვა ქალაქში - თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, და ფოთში - დიდი კათედრალი, სობორო აიგო. უფრო ადრე, 1826 წლის 20 ნოემბრის N205 დადგე-

ნილებით კი ითქვა, რომ ყოველი ახალი ტაძარი უნდა აეგო, რუსეთში დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, ეგზარქოსების დანიშნულ არქიტექტორ-ზედამხედველს,⁵ რაც იმპერიული იდეოლოგიის გატარებისა და კულტურული ასიმილაციისთვის ხელშემწყობ გარემოებებს ქმნიდა.

თბილისის სობორო

თბილისი, შუა საუკუნეების ქალაქი, რომელიც გალავნით იყო მოსაზღვრული, იმპერიის ფარგლებში გაშლას იწყებს, გზა ძველი ქალაქიდან ჩრდილოეთით იმ მიმართულებით გადიოდა, რომელიც დღეს რუსთაველის პროსპექტს წარმოადგენს, და სანამ 1840-1850-იან წლებში ის ქუჩად ჩამოყალიბდებოდა და გოლოვნის პროსპექტი დაერქმეოდა, უბრალოდ „რუსეთისკენ მიმავალი გზა“ ერქვა.⁶ რუსეთისკენ მიმავალი გზა გახდა ადგილი, სადაც რუსული იმპერიული ინსტიტუციების და კულტურულ დაწესებულებათა შენობები განლაგდა. ადგილს, რომელიც ზუსტად მამადავითის მთის ძირში და ქაშვეთს შუა მდებარეობდა, ღუნიბის მოედანი ეწოდა.⁷ ეს სახელწოდება მოედანმა მიიღო რუსეთის ჯარის მიერ 1859 წლის 25 მარტს, დაღესტანში, შამილის ციხესიმაგრის, ღუნიბის ალების აღსანიშნავად, რითაც რუსეთმა კავკასიის დაპყრობა დაასრულა.⁸

1866 წლის 1 მაისს ღუნიბის მოედანზე სამხედრო ტაძრის ასაშენებლად ჩატარდა კონკურსი, რომელშიც არქ. ვიქტორ შრეტერის და ანდრეი ჰუნის პროექტმა გაიმარჯვა, თუმცა უპირატესობა პროფ. დავით გრიმსა (1823-1898) და რობერტ გეოდიკეს (1829-1910) პროექტს მიენიჭა.⁹

ტაძარი წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელზე იკურთხა. რომანოვების ეპოქაში ვლადიმირისა და ნოვგოროდის დიდი მთავარი ალექსანდრე ნეველი (1221-1263) ჩამოყალიბდა იმპერიულ არქიტექტურად, „წმინდა მხედართმთავრად“ და ერთ-ერთ მთავარ ფიგურად რუსული „პოლიტიკური რელიგიის“ სისტემაში, სადაც ეკლესია, არმია და

XX საუკუნის, 2020; თუმაიშვილი, ქართული, 2022; სილაგაძე, ჯაბუა, აბასთუმნის, 2023, გვ. 194-202; შონვაძე, XIX საუკუნის, 2023; GIVASHVILI, MGALOBILSHVILI, Neo-Byzantine, 2025, pp. 182-200.

3 BACCI, FOELTTI, (eds). Cultural, 2023; FORLTTI, Russian, 2024; PALLADINO (ed.). A Byzantine, 2025.

4 ქოქრაშვილი, ქართლ-კახეთის, გვ. 1-14.

5 ბერიძე, თბილისის, 1963, გვ. 30-32.

6 კვირკველია, ძველთბილისური, 1985, გვ. 27.

7 იქვე, 1985, გვ. 28.

8 ЭСАДЗЕ, Штурм, 1909.

9 Кавказ, 44, 1871.

მონარქიული ძალაუფლება ერთ სიმბოლურ სივრცეში ერთიანდებოდა. მისი სახელი მიზანმიმართულად ეწოდებოდა მონასტრებსა და საკათედრო ტაძრებს, განსაკუთრებით კი სამხედრო ტაძრებს, რომლებიც იქცეოდა არა მხოლოდ სალოცავ სივრცედ, არამედ იმპერიული ერთგულებისა და საბრძოლო მისიის სიმბოლოდ. ამასთან, სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებდა ისიც, რომ რომანოვთა დინასტიაში ხშირად გვხვდება სახელი ალექსანდრე, რაც კიდევ უფრო ამყარებდა კავშირს დინასტიურ ხელისუფლებასა და ალექსანდრე ნეველის კულტს შორის.¹⁰

თბილისის სობოროს ძალიან მასშტაბური პროექტი, შთაგონებული „აია სოფიას“ ტაძრის გეგმით, გადაწყვეტილი ნეობიზანტიურ სტილში,¹¹ დიდად მოიწონა იმპერატორმა ალექსანდრე II-მ (1818-1881). პროექტის ავტორი დავით გრიმი, ცნობილია მისი სამეცნიერო მოღვაწეობით. ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც კავკასიის და მათ შორის საქართველოს შუა საუკუნეების არქიტექტურა გულდასმით შეისწავლა და შედეგად რამდენიმე ალბომიც გამოცა.¹²

ერთი შეხედვით სრულიად გასაგებია, რომ იმპერიული დანიშნულების ტაძარში ქართული ფორმების გამოყენება მან არ ან ვერ შეძლო.¹³

თუმცა ის ფაქტი, რომ ეკლესია გეგმით ტეტრაკონქული იყო, უკვე მის კავკასიურ საფუძვლებზე მიუთითებს. მისი ფასადები მონაცვლეობით დაწყობილი ვარდისფერი და თეთრი ქვის ფილებით იყო მოპირკეთებული, რაც ბიზანტიური *opus listatum*-ის იმიტაციას წარმოადგენდა. ყოველ ფასადს ცენტრში თითო დიდი, მოჩუქურთმებული ჯვარი ამშვენებდა, რაც ქართულ ტრადიციის რეინტერპრეტაციადაც შეიძლება განვიხილოთ. ფერთა მონაცვლეობით დაწყობილი სარკმლის თავები, ტაო-კლარჯულ ტრადიციას მოგვაგონებს, რისი ილუსტრაციებიც დავიდ გრიმს საკუთარი ალბომისთვისაც აქვს თანდართული.

თანადროული პრესის თანახმად, მდიდრულად იყო მორთული კათედრალის ინტერიერი, იატა-

კები მარმარილოთი იყო გაწყობილი, ბრინჯაოს ჭაღები და შანდლები სპეციალურად მოსკოვიდან იყო ჩამოტანილი, მხატვრობა იტალიელ ლუდვიგ ლონგოსა (1831-1914) და რუს პეტრე კოლჩინს ეკუთვნოდა.¹⁴ რუსული ეკლესიებისათვის იმუამად დამახასიათებელი რამდენიმე იარუსიანი, მაღალი იკონოსტასის ნაცვლად, კათედრალის დაბალ-ზღუდიანი კანკელი გრიგოლ გაგარინის სიონის ეკლესიაში რეალიზებულ „ნეო-ბიზანტიურ“ კონცეფციას მიუყვებოდა, რომელიც, თავის მხრივ, ქართული ტრადიციული კანკელის ფორმების ინტერპრეტირებას ეფუძნებოდა.¹⁵

ტაძრის ინტერიერში, სამხრეთ მხარეს გაკეთებული რუსული წარწერა იტყობინებოდა, რომ კავკასიის დაპყრობა დასრულდა იმპერატორ ალექსანდრე II-ის მეფობისა და მეფისნაცვლის, დიდი თავადის, მიხეილ ნიკოლოზის ძის მმართველობის დროს, 1864 წლის 21 მაისს.

სრულიად ბუნებრივია, რომ ქართული საზოგადოება ტაძრის აგებას არაერთაზროვნად შეხვდა. გაზეთ „კავკაზის“ ცნობით, ქართველებისგან შემოწირულობის შეგროვება უცდიათ, თუმცა სამი დღის შემდეგ საძირკველთან არსებული ჯვრების წინ ჭურჭელში ჩაყრილმა ფულმა მხოლოდ 52 მანეთი შეადგინა.¹⁶ და ეს მაშინ, როცა, ჯამში, სობოროს აშენება რუსეთის იმპერიის ხაზინას 450 ათასი მანეთი დაუჯდა.

ცხადია, რომ ალექსანდრე ნეველის ეს ტაძარი, რომელიც თავისი მასშტაბითა და ფორმებით სრულიად დომინირებდა XIX საუკუნის ქალაქის განაშენიანებაზე, იმპერიამ საკუთარი მიზნებისა და სამხედროებისთვის ააგო როგორც სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების სიმბოლო კავკასიაში.¹⁷ მისი მასშტაბი და ფორმები სრულიად დომინირებდა XIX საუკუნის ქალაქის განაშენიანებაზე. შესაბამისად, მისი არსებობა საბჭოთა მმართველობისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა. ეკლესიის ეზოში დასაფლავებული იუნკერების საფლავებმაც არ იმოქმედა – ქართულმა საზოგადოებამ ეს ტაძარი ვერ მიიღო. 1930 წელს ეკლესია დაანგრეს და მის

10 САВЕЛЬЕВ, Византийский, 2005, გვ. 26– 41

11 BULLEN, Byzantium, 2003.

12 ГРИММ, Памятники т.1, 1859; ГРИММ, Памятники, т.2 1866; ГРИММ, Monuments, 1864.

13 ბერიძე, თბილისის, 1963, გვ. 66.

14 ჭავჭავაძე (რედ), ივერია, 1897, პ. 1; БЕГИЧЕВ (ред.), Кавказ, 1902, с. 2–3.

15 მგალობლიშვილი, საეკლესიო, 2023, გვ. 77-116; GIVIASHVILI, MGALOBLSHVILI, Georgian, 2026, pp. 361-371.

16 СЛИВИЦКИЙ, 1871, N 44.

17 ბუბულაშვილი, კავკასიის, 2011, გვ. 304–323.

ადგილზე აშენდა მთავრობის სახლი, დღევანდელი პარლამენტი. თეთრი ქვით კი - ფუნიკულიორის ზედა გაჩერება.

ბათუმის სობორო

ალექსანდრე ნეველის სახელზე აშენდა კათედრალი ბათუმში, რომელიც იმპერიისთვის ასევე სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. ორასწლიანი ოსმალეთის ბატონობის შემდეგ, 1878 წელს რუსეთის იმპერიამ მოიპოვა ქალაქი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პორტი შავ ზღვაზე. თუ გავითვალისწინებთ ბათუმის საკრალურ ტოპოგრაფიას, XIX საუკუნის ბათუმში ჯერ კიდევ არსებობდა ორი მეჩეთი მინარეთებით, კათოლიკური ეკლესია ნეოგოთურ სტილში, ბერძნული, სომხური ეკლესიები, სინაგოგა.¹⁸ ამათგან ალექსანდრე ნეველის ეკლესია სრულიად დომინირებდა ქალაქზე.

ბათუმში კათედრალისთვის ნეო-რუსული სტილის პროექტი შეირჩა, ხუთგუმბათიანი და მრავალფერადი. ეს ცხადია, სრულიად ლოგიკურად იჭდა იმ რუსოფილურ ტენდენციებში, რომლითაც იმპერია თავს აცხადებდა მეორე რომის სამართალმემკვიდრედ და საკუთარ მისიად მუსლიმთა გაქრისტიანებას ისახავდა მიზნად. იმპერიისთვის ბათუმის კათედრალის მნიშვნელოვნებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ საძირკველი იმპერატორ ალექსანდრე III-ის (1845–1895) მონაწილეობით გაიჭრა.¹⁹

პროექტის ავტორი იყო არქიტექტორი ივან გოლენიშევი (1861–1888), მშენებლობა კი დაასრულა ვასილი კოსიაკოვმა (1962–1921).²⁰ მოხატა ალექსანდრე ნოვოსკოლცევმა. (1853–1919).²¹ ტაძრის ინტერიარში გამართული დაბალზღუდიანი კანკელი თბილისის სამხედრო ტაძრის მსგავსად „ნეობიზანტიური“ სტილისა იყო.²²

არც ამ კათედრალის დღე აღმოჩნდა გრძელი. გასაბჭოებისთანავე ეკლესიას ფუნქცია შეეცვალა და მის სივრცეში კინოთეატრი მოეწყო, იტალიური

ჟურნალი, *Del Popolo* ამ მოვლენას ეხმიანება, აქვეყნებს რა აღფრედო ორტელის ჩანახატს, სადაც აღბეჭდილია, თუ როგორ დაღეწეს მორწმუნეებმა სობოროს სივრცეში მოწყობილი კინოდარბაზის ინვენტარი.²³

შემდეგი ეტაპი ბათუმის ალექსანდრე ნეველის ისტორიაში მისი კიდევ ერთი ფუნქციით გაგრძელდა. ამჯერად, აქ ათეიზმის მუზეუმი მოეწყო. საბოლოოდ ვერც მან იხსნა კათედრალი ნგრევისგან, 1939 წელს მას ჯერ გუმბათი მოუშალეს, მოგვიანებით კი სამრეკლო, რაც ფოტოგრაფიებით დასტურდება.

ქუთაისის სობორო

ალექსანდრე ნეველის სახელისადმი იყო მიძღვნილი საქართველოს ძველ დედაქალაქ ქუთაისში აგებული კათედრალიც. საგულისხმოა, რომ კათედრალის კვლევა ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა,²⁴ ხოლო მისი ადგილის განსაზღვრა ქართული ხელოვნების ისტორიის კონტექსტში დამატებით დაზუსტებასა და სიღრმისეულ ანალიზს მოითხოვს. ქუთაისში ახალი საკათედრო ტაძრის აგების იდეა 1851 წელს გაჩნდა. ამავე წელს, იმჟამინდელი ქუთაისის მმართველის, რუსი გენერლის ალექსანდრე გაგარინის თხოვნით მისმა ბიძაშვილმა, საქართველოში მოღვაწე გრიგოლ გაგარინმა (1810–1893) შექმნა ტაძრის არქიტექტურული გეგმის ჩანახატი, რომლის მიხედვითაც ქართულ ტრადიციულ სტილს მიმსგავსებული სობოროს მშენებლობა დაიწყო. მოკლე დროში ტაძრის აგება შეჩერდა და მხოლოდ 1860 წელს, მეუფე გაბრიელის (1825–1896) მღვდელმთავრობისას განახლდა. ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშოვმა გლეხობიდან მოკრეფილი შემოწირულობით 1871 წელს დაასრულა აღნიშნული საკათედრო ტაძრის შენება. სიდიდით იგი თითქმის ბაგრატის ტაძარს უტოლდებოდა, დამკვეთების სურვილით მას გელათთანაც უნდა ჰქონოდა მსგავსება.²⁵

18 გივიაშვილი, ბათუმი, 2009, გვ. 4–11; ჭიჭილეიშვილი, ძველი, 2012, გვ. 302–309.

19 მიხეილ ალშიბაიას პირად კოლექციაში დაცული თუჯის ქაფჩა წარწერით: 25 сентября 1888 год, Батуми, სავარაუდოდ, იმპერატორისთვის იქნა დამზადებული.

20 КИРИЧЕНКО, Архитектор, 2016. сс. 73–78.

21 ЦИТОВИЧ, Храмы 1913, с. 440.

22 GIVIASHVILI, MGALOBILSHVILI, Neo-Byzantine, 2025, pp. 192–193, fig.10.

23 Illustrazione del Popolo, 18/3, 1923.

24 კეზევაძე, ქუთაისის, 2021; ნაცვლიშვილი, ქუთაისი, 123–124; ლორთქიფანიძე, დოკუმენტები, 2023; GIVIASHVILI, MGALOBILSHVILI, Neo-Byzantine, 2025, გვ. 193–196.

25 კეზევაძე, ქუთაისის 2021, გვ. 4–5.

კათედრალი წარმოადგენდა მაღალ ციკოლზე მდგარ ჯვარ-გუმბათოვან ეკლესიას. მის ფასადებს ამკობდა სამთავნური მაღალი თაღნარი, მაღალ-ყელიანი გუმბათი კონუსით იყო დაბურული და მასზე აღმართულიყო ექვსმკლავა, რუსული ჯვარი. ერთადერთი, რაც ექსტერიერში ხაზს უსვამდა საავტორო ექსკლუზივს, იყო დასავლეთის მხრიდან პირდაპირ ფასადზე მიდგმული, ხუთწახნაგა ნარტექსი, რომელსაც აგვირგვინებდა სივრცე ღია თაღნარით, რაც მანამდე არსებულ ტაძრებთან მმართველბაში მეტად უჩვეულოდ გამოიყურებოდა. ვფიქრობთ, რომ ეს იყო ქართული სამრეკლოს მოდერნიზაციის ერთგვარი მცდელობა.

სობორო თავისი ფორმებით სრულიად ბუნებრივად ეწერებოდა ქართულ გარემოში, მეორე მხრივ კი, თუ ტაძრის გეგმის ავტორის, გრიგოლ გაგარინისეული ხედვით ვიხელმძღვანელებთ, ალბათ რუსეთის იმპერიის ფარგლებში ეს ტაძარი ერთ-ერთი პირველი გასწეულება იყო ნეო-ბიზანტიური სტილისა, რომელიც სიონის მხატვრობასთან ერთად ერთგვარი ექპერიმენტული ფიქსაციაა გაგარინის ახლებური ხედვებისა საეკლესიო ხელოვნებასთან დაკავშირებით და მისთვის, განიხილებოდა ნეო-ბიზანტიური ხელოვნების ნაირსახეობად.²⁶

ტაძარი მოხატული არ ყოფილა და წინა ორი კათედრალისაგან განსხვავებით აქ ხის მაღალი, მრავალბიურსიანი იკონოსტასი იყო აღმართული.²⁷

ის, რომ ამგვარი ტაძრის აგების ნება გაიცა, რამდენიმე მიზეზით აიხსნება: ჯერ ერთი, გაგარინი დიდი გავლენებით სარგებლობდა რუსეთის სამეფო ოჯახის კარზე, იმავდროულად, რუსი ხელისუფალნი ქართულ სტილში საფრთხეს ვერ ხედავდნენ, რადგანაც იმ დროისთვის მყარად გრძნობდნენ საქართველოში თავს და უკანასკნელი არ აღიქმებოდა მათთვის ქართველთა ეროვნული იდენტობის იდეის გამოხატულებად.

1920 წელს ტაძარი გახდა წმიდა კეთილმსახური მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის და შეიქმნა ჯერ იმერეთისა, შემდეგ კი ქუთათელ მღვდელმთავართა კათედრალად. თუმცა, მიუხედავად ყო-

ველივე ამისა, ალექსანდრე ნეველის კათედრალი ქუთაისში საბჭოთა რეჟიმს ვერ გადაურჩა.

1924 წლის 30 იანვარს გამოიცა ბოლშევიკური მმართველობის დადგენილება: „დაირღვეს საკათედრო ტაძარი (სობორო). მასალა გამოყენებულ იქნას ძმათა სასაფლაოს შემოსაღობად. იმ ადგილზე გაფართოვდეს მოედანი და ტაძრის ადგილზე დაიდგას ამხანაგ ლენინის ძეგლი“.²⁸ ტაძარი მოირღვა, მის ადგილას ახალი, ლენინის სახელობის მოედანი მოეწყო, ხოლო შენობის ერთ-ერთი ბურჯი შენარჩუნდა და ლენინის ძეგლის პოტსტამენტად გამოიყენეს. დღეს ეს ძეგლიც აღარ არსებობს.

ფოთის სობორო

დაბოლოს, XIX საუკუნის საკათედრო ეკლესიების მშენებლობის მაგალითად განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ფოთის კათედრალი, რომლის მშენებლობა საუკუნის მიწურულს დაიგეგმა და 1907 წელს დასრულდა. ფოთის კათედრალი ზემოთ ჩამოთვლილ ნაგებობებს შორის ერთადერთია, რომელიც, მიუხედავად მრავალი პერიპეტიისა, დღემდე პირველადი არქიტექტურული ფორმით დგას.

ნიკო ნიკოლაძის (1843-1928) თაოსნობით ქალაქი ფოთი, რომლის მერადაც ის მსახურობდა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საპორტო ქალაქად გადაიქცა. მანვე შეიმუშავა ქალაქის უნიკალური სივრცითი გეგმარება და ფოთი ევროპული ყაიდის ქალაქად აქცია. 1895 წელს ნიკოლაძე სათავეში ჩაუდგა ტაძრის მშენებლობის კომიტეტს, რომელსაც ქართული არქიტექტურული სტილის ტაძრის აგება სურდა, მაგრამ პროექტი რუსულმა მმართველობამ დაიწუნა.²⁹ შემდგომ კი ქალაქისთვის არქიტექტორების - ზელენკოსა და მარფელდის შემუშავებული ნეობიზანტიური ტიპის პროექტი შეირჩა.³⁰

თავისი იერსახით ეს პროექტი რუსეთის იმპერიის ფარგლებში კონსტანტინოპოლის აია სოფიას ტაძრის გეგმისა და ფორმების ერთ-ერთ ყველაზე ზუსტ, თუმცა კი გამარტივებულ გამეორებად მიიჩნევა.³¹

შიდა სივრცე მოხატული არ ყოფილა, დაბალ-

26 მგალობლიშვილი, ნეობიზანტიური 2016, გვ. 98-104.

27 კეზევაძე, ქუთაისის, 2021, გვ. 51.

28 ლორთქიფანიძე, დოკუმენტები, 2023.

29 ჭავჭავაძე, (რედ.) ივერია, 1900, გვ. 2.

30 გუგუშვილი, და სხვ. ნიკო ნიკოლაძე, 2004, გვ. 29-32.

31 მგალობლიშვილი, ზოგიერთი, 2020-2021, გვ. 98-104.

ზღუდიანი „ნეობიზანტიური“ კანკელის მხატვრობა ვიქტორ დუმიტრაშკომ შეასრულა.

რამდენადაც წარსულის იმიტირება გამოარჩევს კათედრალის გარეგნულ ფორმებს, იმდენად თანამედროვეა მისი საინჟინრო გადაწყვეტა. ბიზანტიის იმპერიის გრანდიოზულ კათედრალთან არქიტექტურული მიმსგავსება მიღწეულ იქნა მოდერნისტული არქიტექტურული პრინციპებით, რაც გულისხმობს რკინაბეტონისა და მასში ჩართული მრუდი არმატურის კონსტრუქციის გამოყენებას. ფოთის კათედრალი რკინაბეტონის კარკასული ეგრეთ წოდებული ჰენებაქის ტექნოლოგიის გამოყენების ერთ-ერთი პირველი მაგალითია რუსეთის იმპერიის არქიტექტურაში.³² იმავდროულად, ის იმ შენობათა რიგში ექცევა, მსოფლიოში მოდერნისტული არქიტექტურული პრინციპების შემუშავების გარიჟრაჟზე რომ აიგო.³³ ამ მოვლენას ფრანგული ჟურნალი ეხმარებოდა, სადაც ფოთის კათედრალის პროექტი და გუმბათის მშენებლობის პროცესია აღწერილი.³⁴

გასაბტოების შემდეგ ფოთის კათედრალმა ასევე იცვალა ფუნქცია, მისი შენობა თეატრისთვის იყო ადაპტირებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი შენობა ეკლესიას დაუბრუნდა (2005 წელს) და მას რესტავრაცია Studio 9-მ ჩაუტარა.³⁵

როგორც ვნახეთ, ჩამოთვლილი კათედრალებისგან ფოთის კათედრალი ერთადერთია, რომელიც არ განადგურებულა. მიზეზი შესაძლოა ორი ფაქტორით იყო გამოწვეული, პირველი, ის არ იყო ალექსანდრე ნეველის სახელობისა, რაც რუსულ სამხედრო იმპერიულ ექსპანსიას განასახიარებდა და მეორეც, ფოთის კათედრალის მშენებლობა ადგილობრივი მეცენატის, ფოთისთვის სრულიად გამორჩეული ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდებოდა.

დასკვნა

წარმოდგენილი სტატია არის მცდელობა - XIX–XX საუკუნეების ქართულ ურბანულ სივრცეში აგებული ოთხი სობოროს გააზრებულ იყოს ერთიან, ისტორიულ, იდეოლოგიურ და არქიტექტურულ კონტექსტში. სტილისტურად, არქიტექტურული იერსახე მრავალფეროვანია: თბილისის და ფოთის ნეო - ბიზანტიური ნაგებობები კონცეპტუალუ-

რად აია სოფიას სტილს მიჰყვებოდნენ; ქუთაისის კათედრალი ნეო-ბიზანტიური მიმდინარეობის ფარგლებში ქართული ფორმების მატარებელია; ბათუმის კათედრალი კი ნეო-რუსული მიმართულების მახასიათებლებით გამოირჩევა. საინტერესოა, რომ რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოში პირველად გამოჩნდა ნოვატორული სტრუქტურის დაბალზღუდიანი ნეო-ბიზანტიური კანკელი, რომელიც ქართული ტრადიციული ფორმებით იყო ნასაზრდოები და გაიმართა ყველა შემოთხსენებულ ეკლესიაში, ქუთაისის გარდა, რომელიც ყველაზე მეტად ქართულად გამოიყურებოდა. მნიშვნელოვანია ტექნიკური სიახლეების მხრივ, ფოთის ტაძარში არმატურის გამოყენება, რაც იმპერიის მასშტაბით ერთ-ერთი პირველი მაგალითია.

მიუხედავად ფორმისეული და სტილისტური განსხვავებებისა, ფართო ისტორიულ კონტექსტში ოთხი კათედრალი ნათლად ასახავს რუსეთის იმპერიის რელიგიურ-პოლიტიკურ სტრატეგიას კავკასიაში. ისინი წარმოადგენენ არა მხოლოდ საკულტო ნაგებობებს, არამედ იმპერიული იდეოლოგიის მატერიალიზებულ გამოხატულებას, რომელიც ურბანულ სივრცეში სიმბოლური დომინაციის დამკვიდრებას ისახავდა მიზნად. საბჭოთა პერიოდში აღნიშნული კათედრალების უმრავლესობა განადგურდა ან ფუნქციურად შეიცვალა, რაც, ერთი მხრივ, ანტირელიგიური აქტის და, მეორე მხრივ, იმპერიული მეხსიერების ჩანაცვლების მცდელობას ასახავს. ამ გზით XIX საუკუნის ქართული სივრცე ორმაგი წაშლის მსხვერპლი გახდა, ჯერ რუსული იმპერიული გავლენის, შემდეგ კი საბჭოთა ნგრევის.

წარმოდგენილი ოთხი კათედრალის განხილვა გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ, თუ როგორ წარმოიქმნა, შეიცვალა და დაიკარგა სივრცის სიმბოლური და პოლიტიკური ნიშნულები და როგორ შეიძლება არქიტექტურა იყოს ისტორიული პროცესების პირდაპირი მონაწილე, მოწმე და კულტურული მეხსიერების საცავი.

32 БАРАНОВСКИЙ Г. (ред), Строитель № 18, 1905, с. 700

33 Van de VOORDE, Hennebique's 2009, pp. 1453–1461.

34 PRÉVOST, Cathédrale, 1908, pp. 147–153.

35 რადგან არ არსებობს პუბლიკაცია აღნიშნულ პროექტზე, იხ. ვიდეო სამშენებლო კომპანიის ფეისბუქ გვერდზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, ტომი 2, თბ., 1963.
- ბუბულაშვილი ე., კავკასიის არმიის სამხედრო ტაძრის ისტორიიდან, ქართული დიპლომატია, წელიწადი, N15, 2011.
- გენგიური ნ., XIX საუკუნის არქიტექტურა საქართველოში და კულტურული იდენტობა: ვილა „ფირუზე“ ბორჯომში, ძველი ხელოვნება დღეს, N7, 2016.
- გერსამია თ., ჯოვანი სკუდიერი: 1816-2016, თბ., 2016.
- გივიაშვილი ი., ბათუმი – მონატრების ქალაქი, ფიროსმანი (Pirosmani), N 9, სტამბოლი, 2009.
- გუგუშვილი ნ., ტალახაძე ი., მაჭარაშვილი შ., ჯაფარიძე ვ., ნიკო ნიკოლაძე, უღმობელი საქმის კაცი, თბ., 2004.
- თათარაშვილი ნ., გერმანული დასახლებები და არქიტექტურული მემკვიდრეობა საქართველოში, Die deutschen Siedlungen und das deutsche architektonische Erbe in Georgien, თბ., 2018.
- თუმანიშვილი დ., XX საუკუნის ქართული ხელოვნება და მისი ისტორიული კონტექსტი, თბ., 2020.
- თუმანიშვილი დ., ქართული ხუროთმოძღვრების საკითხები: უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე, თბ., 2022.
- კეზევაძე მ., ქუთაისის საკათედრო ტაძარი (სობორო), ქუთ., 2021.
- კვირკველია თ., ძველთბილისური დასახლებანი, თბ., 1985.
- ლორთქიფანიძე ი., დოკუმენტები და ბეჭდური მედია ქუთაისის საკათედრო ტაძრის (სობორის) დანგრევის შესახებ, ქუთ., 2023.
- მანია მ., გერმანელი არქიტექტორები თბილისში, თბ., 2018.
- მანია მ., ევროპელი არქიტექტორები თბილისში, თბ., 2006.
- მგალობლიშვილი ა., ნეობიზანტიური სტილი საეკლესიო ხელოვნებაში და საქართველო, ჯოვანი სკუდიერი: 1816-2016, გერსამია თ., (რედ.) თბ., 2016.
- მგალობლიშვილი ა., ზოგიერთი საკითხი ნეობიზანტიური ხელოვნების შესახებ, აკადემია, N 8-9, 2020-2021.
- მგალობლიშვილი ა., თანამედროვე ქრისტიანული ცნობიერების და ბიზანტიური კულტურის ურთიერთმიმართების საკითხისათვის, რელიგიათმცოდნეობითი კრებული, თბ., 2016.
- მგალობლიშვილი ა., საეკლესიო მხატვრობა საქართველოში (1900 - 1921), თბ., 2023.
- ნაცვლიშვილი ნ., ქუთაისი, საქართველოს ქალაქების ურბანული განვითარება 1801-1918 წლებში, თბ., 2019.
- სილაგაძე ნ., ჯაბუა ნ., აბასთუმნის წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესია ისტორიციზმის კონტექსტში, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვე კონტექსტში“, კონფერენციის მასალები, ბათ., 2023.
- ქოქრაშვილი ხ., ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოების გაუქმება, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დასაწყისი, ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოების გაუქმება, რუსეთის ექსპანსია საქართველოში და კავკასია, მთავარი რედაქტორი: გიორგი ტეიშვილი, გვ. 5: <https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Georgian-2792.pdf> 08/05/2026
- შონგაძე თ., XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათი არქიტექტურა თბილისში, თბ., 2023.
- ციციშვილი ი., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბილისი, 1995.
- ჭავჭავაძე ი. (რედ.), ივერია N 98, 1897.
- ჭავჭავაძე ი., (რედ.) ივერია, N 120, 1900.
- ჭიჭილეიშვილი მ., ძველი ბათუმის საკულტო არქიტექტურა (ზოგადი სურათის დასადგენად), ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა, II, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი, 2010 წლის 30-31 ოქტომბერი, ბათ., 2012.

- ხოშტარია დ. (რედ.), ქართული სტილი და იმპერიის არქიტექტორები, არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა XIX საუკუნის თბილისში (1801–1918), თბ., 2016.
- ხოშტარია დ. (რედ.), არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801–1918), თბ., 2016.
- ხოშტარია დ. (რედ.), საქართველოს ქალაქების ურბანული განვითარება 1801–1918 წლებში, თბ., 2019.
- BACCI, Michele, FOLETTI Ivan, (eds.). Cultural Interactions in the Medieval Subcaucasian Region: Historiographical and Art-Historical Perspectives. Vols. I–II. CONVIVIA IV. Rome / Brno: Viella; Masaryk University Press, 2023.
- BULLEN Barrie, Byzantium Rediscovered, London, 2003.
- FOLETTI Ivan, Russian Imperialism and the Medieval Past, Leeds, 2024.
- GENGIURI Nato, Architecture of the 19th Century in Georgia and Cultural Identity: Villa Firuze in Borjomi, #7, 2016, pp. 14–25.
- GIVIASHVILI Irene, & MGALOBlishvili Anna, Neo-Byzantine church architecture in Georgia: Between Empire and Nation (1800–1920). A Byzantine century: Political, colonial, and national uses of Neo-Byzantine architecture, 1820s–1920s. Turnhout: Brepols. 2025: pp. 182–200.
- GRIMM David, Monuments d’architecture byzantine en Géorgie et en Arménie, Saint-Petersbourg, 1864.
- KOKRASHVILI Khatuna, The abolition of the Kartli-Kakheti and Imereti Kingdoms, in Russia’s expansion in the Caucasus and Georgia, G. Cheishvili (ed.), Rondeli Foundation: <https://gfsis.org.ge/files/library/pdf/English-2792.pdf>
- MANIA Maia, European architects in Tbilisi, Tb., 2006.
- MANIA Maia, German architects in Tbilisi, Tb., 2018.
- PALLADINO Adrien (ed.), A Byzantine century: Political, colonial, and national uses of Neo-Byzantine architecture, 1820s–1920s. Turnhout: Brepols. 2025.
- PREVOST Henri, “Cathédrale de Poti (Russie)”, Le béton armé: organe des concessionnaires et agents du système Hennebique, 126, 1908, pp. 147–153.
- TATARASHVILI N., Die deutschen Siedlungen und das deutsche architektonische Erbe in Georgien German settlements and architectural heritage in Georgia. Tb., 2018.
- Van de VOORDE Stephanie, Hennebique’s Journal le Béton Armé. A Close Reading of the Genesis of Concrete Construction in Belgium, Proceedings of the Third International Congress on Construction History, Cottbus, May 2009, Gent, 2009, pp. 1453–1461.
- БАРАНОВСКИЙ Гавриил (ред.), Строитель #18, СПб, 1905.
- БЕГИЧЕВ Константин (ред.), «Кавказ», #133, Тиф., 1902. с. 2–3.
- ГРИММ Давид, Памятники византийской архитектуры Грузии и Армении, т. 1, СПб, 1859.
- ГРИММ Давид, Памятники византийской архитектуры Грузии и Армении, т. 2, СПб, 1866.
- ДЗУЦОВА Ирина, Народное направление в грузинской станковой живописи второй половины XVIII–XIX веков, Тб., 2014.
- СЛИВИЦКИЙ Иван (ред.), Кавказ, 1871, N44.
- КИРИЧЕНКО Евгения, Архитектор Василий Косяков. М., 2016, с. 73–78.
- ЦИТОВИЧ Григорий, Храмы армии и флота. Пятигорск, 1913, с. 440.
- ЭСАДЗЕ Семен, Штурм Гуниба и пленение Шамиля. Тифлис, 1909.
- ЭСАДЗЕ Борис, Боевые подвиги Кавказской армии: альбом Картинной галереи Кавказского военно-исторического музея, с пояснительным текстом, Тифлис, 1919.
- САВЕЛЬЕВ Юрий, “Византийский стиль” в архитектуре России. Вторая половина XIX – начало XX века, СПб, 2005, с. 26– 41.

GEORGIAN URBAN SPACE, IMPERIAL IDEOLOGY, AND THE FOUR SOBORS

Anna Mgaloblishvili, Irene Giviashvili

Keywords: Sobor, Tiflis, Kutaisi, Batumi, Poti, Neo-Byzantine, Russian Empire, Caucasus.

The construction of four major sobors in Georgia during the 19th and early 20th centuries reflected the religious, political and cultural ambitions of the Russian Empire in the Caucasus. The cathedrals of Tiflis, Batumi, Kutaisi and Poti emerged as dominant landmarks within rapidly transforming urban environments. These edifices displayed trendy Neo-Byzantine, Neo-Russian and local Georgian artistic traditions. Furthermore, innovative engineering technologies were introduced. The destruction, transformation or survival of the cathedrals during the Soviet period is indicative of Georgia's shifting politics of religion, memory and identity. The study examines cathedrals not merely as architectural structures, but also as tools of Russian imperial representation and symbolic power within the urban space of Georgia.

The scholarly study of Georgian architecture and art of the late 19th and early 20th centuries was initiated during the Soviet period. However, within the context of Communist ideology, academic investigation of this historical period was met with significant challenges. This phenomenon may be primarily attributed to the presence of a living historical and religious memory, which proved to be incompatible with the Soviet ideological discourse. Additionally, the biographies of numerous individuals associated with this period were regarded as hostile by the Soviet system and consequently suppressed.

In Soviet-era publications, research was largely confined to the analysis of general trends and monographic examinations of individual buildings, groups of structures, or works of art. These monographic studies drew on specific factual and archival ma-

terial, with particular emphasis on the architectural monuments of Tbilisi.¹

In the aftermath of the collapse of the Soviet system and the subsequent establishment of an independent Georgian state, there was a substantial expansion in both the thematic scope and methodological range of research. A significant corpus of art-historical scholarship emerged, devoted to urban spaces, individual buildings, architects, and artists and their creative output. A re-evaluation of extant and newly discovered materials was conducted through the lens of newly formulated analytical frameworks, with a particular focus on issues of national identity and within the broader context of global developments.²

Furthermore, the culture of 19th-century Georgia has attracted the attention of scholars within the field, who have examined it from two perspectives:

¹ ბერიძე, თბილისის, 1963; კვირკველია, ძველთბილისური, 1985; ციციშვილი, ქართული, 1995, გვ. 138-152.

² MANIA, European 2006; მგალობლიშვილი ა., XIX-XX საუკუნეების, 2013-2014, გვ. 59-64; ДЗУЦОБА, Народное, 2014; GENGIURI, Architecture 2016, pp. 14-25; ხოშტარია (რედ.), არქიტექტურა, 2016; მგალობლიშვილი, თანამედროვე, 2016; გერსამია, ჯოვანი სკუდიერი: 2016; MANIA, German, 2018; თათარაშვილი ნ., გერმანული, 2018; ხოშტარია დ. (რედ.) საქართველოს, 2019; თუმანიშვილი, დ., XX საუკუნის, 2020; სილაგაძე ნ., ჯაბუა ნ., აბასთუმნის, 2023, გვ. 194-202; შონგაძე თ., XIX საუკუნის, 2023; GIVIASHVILI, MGALOBlishvili, Neo-Byzantine, 2025, pp. 182-200.

firstly, within the broader context of Russian imperial space; secondly, within the context of regional Caucasian culture more broadly. Evidence for this can be found in the research and publications carried out within the framework of the RE:CENT Centre for Medieval Visual Cultures and Research Communication at Masaryk University.³

Nevertheless, the legacy shaped by the Soviet ideological paradigm has left many issues insufficiently studied and systemically unresolved to this day. The present publication addresses four major cathedrals (so-called *sobors*, deriving from the Russian word Собор for a *cathedral*) designed and constructed in the 19th–20th centuries, of which only one has survived to this day. Its objective is to foreground the principal problematics that may act as the foundation for future, in-depth research.

On April 12, 1802, Georgia's nobility, assembled and surrounded by Russian troops, were informed of the abolition of the Georgian monarchy through the manifesto of Emperor Alexander I (1777–1825) proclaimed in the Cathedral of Sioni. Those congregated at the cathedral were obligated to swear an oath of allegiance.⁴ In 1811, the autocephaly of the Georgian Church was similarly annulled. Consequently, Georgia underwent a profound transformation, both politically and culturally, becoming a peripheral province of the Russian Empire. Though the act declaring the empire's authority was read in the cathedral, Sioni remained associated with the traditions and past of the Georgian nation and its Church rather than Russian imperialism. Meanwhile, Russia needed its own symbolic landmarks of victory over the Caucasus.

